

ჭრელთა ნუსხისა და ნევმური სისტემის ურთიერთმიმართების საკითხისათვის

სამეცნიერო მიმოქცევაში „ჭრელის“ სისტემის შემცველი ახალი ხელნაწერების შემოსვლამ „ჭრელის“ ახალი ასპექტების კვლევის შესაძლებლობა შექმნა. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ცოდნა ჭრელთა ნუსხების შედგენილობაზე, მათში არსებულ ტერმინოლოგიაზე, ნუსხის შემცველი საგალობლების ლიტურგიკულ რაობაზე და სტრუქტურულ – ინტონაციურ თავისებურებებზე. ახალმა ნუსხებმა ნათლად დაგვანახა რვა ხმის სისტემის თავისებურებათა მოქმედება ჭრელით განმარტებულ საგალობლებში. აგრეთვე, საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ნევმური სისტემისა და „ჭრელების“ ურთიერთმიმართების, ჭრელთა ნუსხის წარმომავლობასთან და ხნოვანებასთან დაკავშირებული საკითხები¹.

დღეისათვის ცნობილია ჭრელთა ნუსხის შემცველი რამდენიმე ხელნაწერი. ვინაიდან ხელნაწერები Q-298² და H-2282 კარგად არის ნაცნობი სამეცნიერო წრისათვის, ყურადღებას გავამახვილებთ ნაკლებად შესწავლილ (Q-103, Q-104)³ და შეუსწავლელ (ქუთ-368, ქუთ-467)⁴ წყაროებზე.

აღნიშნული ჭრელთა ნუსხები ერთმანეთთან მეტ-ნაკლებ მსგავსებას ამჟღავნებენ საგალობლის სიტყვიერი ტექსტის განლაგების თვალსაზრისით. ამ ნიშნით ერთ ჯგუფში ერთიანდებიან Q-103, Q-104 და ქუთ-467, სადაც საგალობელთა სიტყვიერი ტექსტი გაბმულად, პროზაულადაა მოცემული, თუმცა ახლავს სასვენები, რომლებიც ტექსტს ფრაზებად ანაწევრებენ. მეორე ჯგუფს ქმნიან ქუთ-368 და Q-298. მათში სიტყვიერი ტექსტის ყოველი ახალი ფრაზა ახალ სტრიქონზეა განთავსებული.

რაც შეეხება ხელნაწერებში წითელი მელნით (ქუთ-368-ში მწვანე ფერით გვხვდება) მოცემულ განმარტებებს, ყველა, XVII-XVIII სს-ის წყაროში სახეზეა ერთი პრინციპი. ჰანგის განმარტება მოთავსებულია სიტყვიერი ტექსტის თავზე, მის ზედა სტრიქონზე, მსგავსად მუსიკალური ნიშნებისა, რასაც არ ვხვდებით Q-298-ში. ამ ხელნაწერში, როგორც ცნობილია, წითელი ფერის მელნით აღნიშნული ჰანგის განმარტება საგალობლის სიტყვიერი ტექსტის გასწვრივ – იმავე სტრიქონზეა განთავსებული. ალბათ ამ მიზეზის გამო, Q-298-ის ჭრელთა ნუსხა ნევმური სისტემისა და ჭრელების მსგავსება-განსხვავებაზე მსჯელობის საბაზს არ იძლეოდა. ახალმა ნუსხებმა კი ამ პრობლემის კვლევის პერსპექტიულობა დაგვანახა.

დღეისათვის არსებული მონაცემებით ძნელია განისაზღვროს, რომელი იყო პირველადი მუსიკალური ჰანგის აღმნიშვნელი ამ ორი სისტემიდან. მაგრამ გვიჭირს დავეთანხმოთ არსებულ აზრს, რომ ჭრელებმა მივიწყებული ნევმური სისტემა შეცვალა. ჩვენი ვარაუდით, ისინი თანაარსებობდნენ ერთმანეთის პარალელურად საუკუნეების მანძილზე. ამ მოსაზრებას საფუძველს უმტკიცებს **ჭრელთა ნუსხებისათვის დამახასიათებელი თვისება, რომელიც ნევმირებულ კრებულებს არ გააჩნიათ.**

ჭრელის შემცველი ხელნაწერების შედარებისას გამოირკვა, რომ ისინი შედგენილობით ერთმანეთის მსგავსნი არიან. ესე იგი, სხვადასხვა მსახურებისა და ლიტურგიკული დატვირთვის მქონე საგალობელთა ნუსხებში გაერთიანება შერჩევით და გარკვეული ნუსის დაცვით ხორციელდებოდა. ნუსხების

შედგენილობაზე ყურადღება პირველად მანანა ანდრიაძემ გაამახვილა: “ნუსხ-აში შეტანილი საგალობლები გარკვეული დადგენილი თანმიმდევრობითაა მოცემული.. ნათლად იკვეთება თანმიმდევრულად დაწყობილი მწუხრის, ცისკრის და წირვის საგალობლები“ (ანდრიაძე, 2001:51).

ამ მიმართულებით შემდგომმა კვლევამ ცხადყო, რომ ნუსხების აუცი-ლებელ შემადგენელ ნაწილად არა მხოლოდ სადღეღამისო ციკლის (მწუხრი, ცისკარი, წირვა) საგალობლები გვევლინებიან, არამედ თორმეტ საუფლო დღე-სასწაულთა და წმინდანთა ხსენების **დასდებლები, გერნი და კონდაკები**. აღნიშნული სახეობის საგალობლების ნუსხის აუცილებელი ერთეულების რანგში არსებობა, მეტად საგულისხმოა, ვინაიდან ჭრელი მუხლების სწორედ ამ ჟან-რებში არსებობამ დაგვანახა, რომ „ჭრელები“ სათავეს საუკუნეების სიღრმი-დან იღებენ (ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შედგენილობის მსგავსებისა, ნუსხების აგებულება საგალობელთა თანმიმდევრობის თვალსაზრისით არ არის ერთგ-ვარი. ნუსხები ინდივიდუალობას ამჟღავნებენ მათში გამოყენებული განმარტე-ბების თვალსაზრისითაც.

ხელნაწერში ქუთ-467 ჟანრული დაჯგუფების პრინციპს ვხვდებით. აქ ჯერ სადღესასწაულო კონდაკებია მოცემული, შემდეგ შობის და დიდი პარასკევის ათორმეტ დასდებელთა ჯგუფი, რასაც მოსდევს მწუხრის, ცისკრის და წირვის ჭრელები. ხელნაწერი გრძელდება საუფლო და დიდ დღესასწაულთა გერნით, რომელშიც თავის მხრივ მიმდევრობის კალენდარული პრინციპი მოქმედებს. ხელნაწერის ბოლო გვერდებზე კი მოცემულია დასდებლები, სახელწოდებით – „საჭიქენი“⁵.

ქუთაისური ხელნაწერი ქუთ-368, რომელიც სადღეღამისო ციკლის „ჭრე-ლებით“ იწყება, აგებულია კალენდარული წესის მიხედვით. იწყება ხარების საგალობელთა ციკლით, მოსდევს შობის დღესასწაულის საგალობლები, შემდეგ მირქმის და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წრეზე შერწყმულია მოძრავი და უძრავი დღესასწაულების საგალობელთა ციკლები. ხელნაწერის ბოლო ნაწილში კი ქუთ-467-ის მსგავსად მოცემულია „დასდებელნი საჭიქენი“.

ხელნაწერებს Q-298 და H-2282, ქუთ-368-ის მსგავსი აგებულება აქვთ, ხოლო რაც შეეხება გულანისეულ ჭრელთა ნუსხებს, ისინი შედარებით მცირე ზომისანი არიან და ნაკლები სიმწყობრით გამოირჩევიან.

ამრიგად, თითოეული ჭრელთა ნუსხა ინდივიდუალობით გამოირჩევა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათი მსგავსების, ერთიანობის დანახვას და სისტე-მურობის აღქმას. რაც შეეხება სხვადასხვა წყაროებში პარელელური ტექსტის მქონე საგალობელთა ჰანგის განმარტებებში შენიშნულ ზოგიერთ განსხვავე-ბას, ეს სხვადასხვა სამგალობლო სკოლის ტრადიციით უნდა ავხსნათ.

ჭრელთა ნუსხების **შედგენილობის სტაბილურობა** უფრო მნიშვნელოვნად გვესახება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ეს სახასიათო თვისება არსებითად განასხვავებს ჭრელთა ნუსხებს ნიშნებით აღბეჭდილი საგალობელთა კრებულე-ბისაგან, რომელთა მრავალფეროვნებას, შედგენილობის მხრივ საზღვარი არა აქვს. დღემდე შემორჩენილი ნევემირებული კრებულების ანალიზს ამ დასკვნამ-დე მივყავართ.

სხვადასხვა ტრადიციის (წარმომავლობის) და ეპოქის ხელნაწერებს მსგავ-სი შედგენილობა რომ აქვთ, ცხადია, არ არის შემთხვევითი. კვლევის შედეგე-ბი საფუძველს გვაძლევს გამოვრიცხოთ, რომ ეს ტექსტები ერთმანეთის მექა-ნიკურ გადმონაწერს წარმოადგენენ. ნუსხებისთვის დამახასიათებელი სტაბი-

ლურობა მათში შემავალი საგალობლების მუსიკალურ-ლიტურგიკული შინაარსით უნდა იყოს განპირობებული. აღნიშნული ხომ არ მეტყველებს იმაზე, რომ ქრელით განმარტებული საგალობლები, მათი შემადგენელი კილოების (მუხლების) სახით ქმნიდნენ განსაზღვრულ ფონდს რიტმულ-ინტონაციური მოდელებისა, რომლებიც განსხვავდებოდნენ ძლისპირთა, ტროპართა, ანტიფონთა და სხვა, საკუთარი რვა ხმის მქონე (ნევმირებულ კრებულებში შემავალი) საგალობელთა კილოებისგან, წარმოადგენდნენ რა, მხოლოდ ნუსხაში მოხვედრილი საგალობლების ინტონაციურ წყაროს? ეს რომ ასეა, ვრწმუნდებით ქრელთა ნუსხებში გამოყენებული განმარტებების ანალიზითაც.

ქართული გალობის „ჭრელებისადმი“ მიძღვნილ გამოკვლევებში არაერთხელ აღნიშნულა, რომ ქრელთა ნუსხებში საგალობელთა ჰანგის განმარტება ორგვარად ხდება. ზოგჯერ ჰანგი „ჭრელთა გუარითაა“ განმარტებული (მაგ. ოინი, ულხინე, დასდებლის კილო, ყოვლადწმიდის კილო, უცხო, თავი და ა.შ), ზოგიერთ შემთხვევაში კი მითითებულია, თუ რომელი ფრაგმენტის მსგავსად უნდა შესრულდეს, ასეთ დროს არ არის დაზუსტებული, თუ რა განგების საგალობელია, ან რომელია მისი დასაწყისი ფრაზა.

მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელიც განმარტებად გამოყენებული სიტყვიერი ტექსტის წარმომავლობის გარკვევისას შეგვხვდა, შევძელით იმის დადგენა, რომ ყველა ასეთი სახის განმარტება ნუსხაშივე შესული საგალობლების ტექსტებიდან ამონარიდებია. ნუსხაში ვერ შევხვდებით ისეთ განმარტებას, რომელიც მისი ვერბალური მასალის ფარგლებს გარეთ გაგვიყვანდა. ამასთანავე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ვერბალური განმარტების ქვეშ ნაგულისხმევი მელოდიური მოდელები ხშირად მეორდებიან არა მხოლოდ ერთი ხელნაწერის ფარგლებში (სხვადასხვა საგალობლებში), არამედ სხვადასხვა ხელნაწერებშიც. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო ისიც, რომ მელოდიური მოდელები კანონზომიერადაა გაერთიანებული საგალობლების ჰანგში. აქ მუდგანდება მათი არა მხოლოდ ჟანრული მიკუთვნება, არამედ რვა ხმის სიტემის თავისებურებების მოქმედებაც. ასე მაგალითად, კონდაკებსა და დასდებლებში გამოყენებული განმარტებების შედარებამ გვიჩვენა, რომ მათში რამდენიმე საერთო მოდელის არსებობის მიუხედავად ისინი სხვადასხვა ინტონაციური წყაროდან საზრდოობენ. საერთო ხმის მქონე კონდაკების ანალიზმა კი ცხადყო, რომ ისინი არა მხოლოდ ინტონაციური, არამედ სტრუქტურული მსგავსებითაც ხასიათდებიან და ყველგან ინარჩუნებენ ხმისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს. ზოგიერთი „ჭრელი“ კი უნივერსალური ხასიათისაა და, შეიძლება ითქვას, ნუსხების ერთგვარ „ლაიტმოტივს“ წარმოადგენს.

ამრიგად, გამოდის, რომ არსებობდა მზა მოდელების ფონდი, საიდანაც საზრდოობდა ქრელთა ნუსხაში შემავალი ყველა საგალობელი. საგალობლები კი, რომელთაც მუსიკალური თვალსაზრისით საერთო არ ჰქონდათ მელოდიური მოდელების აღნიშნულ ჯგუფთან, ქრელთა ნუსხაში არ ერთიანდებოდა. შესაძლოა ამით აიხსნას ის ფაქტი, რომ ქრელთა ნუსხაში საერთოდ არ ვხვდებით სადღესასწაულო ტროპარებსა და ძლისპირებს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა).

აქვე განვმარტავთ ქრელთა ნუსხაში რამდენიმე ძლისპირის (როგორიცაა: „კიდობანსა მას სჯულისასა“ , „ნუ მტირ მე დედაო“, „განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმ“) მოხვედრის მიზეზს. მათი რიცხვი იმდენად უმნიშვნელოა, არ ირღვევა ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული კანონზომიერება ქრელთა ნუსხების შედგენილობასთან დაკავშირებით. მიზეზი, თუ რატომ იმყოფებიან ეს ძლისპირები გერთა, სტიქარონთა და კონდაკთა შორის, აიხსნება იოანე ბატონიმ-

ვილის „კალმასობაში“ არსებული ცნობით ჭრელთა გვარებთან დაკავშირებით. მოვიტანთ ციტატას: „ესრევე ჭრელის გვარნი არიან თვით ნირვასა ზედა გალობანი, ესე იგი „რომელი ხერუვიმთა“, „და ვითარცა“, „განიცადე“, მეორე კილო და სხვანი. ეგრეთვე არიან ძლისპირნი საცისკროთა და სამწუხროთა და სერობის გალობათა შინა, რომელნიც **მსგავსებენ ჭრელთა**, რომელ არიან „შედრწუნდა უბინოსგან სიტყვა მძლავრისა“, „ნუ მტირ მე დედაო“ და სხვანი მსგავსნი ამათნი (ბატონიშვილი, 1991:69). ამ ცნობიდან ჩანს, რომ ბატონიშვილი ძლისპირებს განასხვავებს ჭრელთა გვარისაგან, მათ ცალკე კატეგორიად მოიხსენიებს და ჭრელის მსგავს, მიმსგავსებულ საგალობლებს უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ძლისპირებს საკუთარი რვა ხმა გააჩნდათ, როგორც ჩანს, მოხსენიებული ძლისპირების თქმა პრაქტიკაში განსხვავებულად, კერძოდ იმ ჭრელეებით დამკვიდრდა, რომლებიც ნუსხაში გვხვდება. სწორედ ეს გახდა ჭრელთა ნუსხაში მათი არსებობის მიზეზი.

ამრიგად, „ჭრელთა ნუსხების“ მკაცრად შერჩეული შედგენილობა და ჰანგის განმარტების ორიგინალური სახე (ტექნიკა), რომელიც ხელნაწერის ვერბალური მასალის ფარგლებს არ სცილდება, მეტყველებს „ჭრელის სისტემის“ ლოკალურ მოქმედებაზე, ამ სისტემის გამოყენების შედარებით ვიწრო, განსაზღვრულ არეალზე, განსხვავებით ნევმური სისტემისაგან.

ზემოაღნიშნული გარემოებები საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ „ჭრელები“ ვერ ჩაენაცვლებოდნენ ნევმურ დამწერლობას.

დღესდღეობით არ არის ცნობილი, თუ რაოდენ ხნოვანია ჭრელების სისტემა. წარმოდგენილმა ნუსხებმა ამ საკითხის შესწავლის პერსპექტივაც შექმნა. საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ სადღესასწაულო საგალობელთა შორის, იქნება ეს საუფლო, დიდი დღესასწაული, თუ წმინდანის ხსენების დღე, **კონდაკის, გერის და დასდებლის(სტიქარონის)** გარდა არც ერთ ხელნაწერში არ გვხვდება რომელიმე სხვა სახეობის საგალობელი⁶. გამოდის, რომ ე.წ. „ჭრელი მუხლები“ სადღეღამისო ციკლში ჩართული საგალობლების გარდა სადღესასწაულო საგალობელთაგან მხოლოდ **კონდაკს, გერს და სტიქარონს** გააჩნდა. როდესაც მსგავსი შინაარსი ამოვიკითხეთ XIII-ის ხელნაწერის A-85 რამდენიმე მინაწერში, ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულმა ვარაუდმა, ჭრელი მუხლების, როგორც ინტონაციურად განსაკუთრებული, დამოუკიდებელი სფეროს და ნევმურ სისტემასთან მისი მიმართების შესახებ, მეტი დამაჯერებლობა შეიძინა.

როგორც ცნობილია, ყველაზე ადრეულ ცნობას „ჭრელის“, „ჭრელი მუხლების“ შესახებ სწორედ ამ ხელნაწერში – A-85 ვხვდებით. მაგრამ დღემდე, ვიდრე ჭრელთა ნუსხების შედგენილობა არ იქნა გაანალიზებული, არავის მიუქცევია ყურადღება იმისათვის, რომ „ჭრელი“ XIII-ის ხელნაწერში ნახსენებია სწორედ იმ ჟანრებთან მიმართებაში, რომლებიც XVII-XVIII-ის ჭრელთა ნუსხის ძირითად ბირთვს ქმნიან. ესენია: **სტიქარონი და გერნი**.

გამოთქმულის დასტურად მოვიტანთ ხელნაწერის A-85 ფურცელზე 357r-ზე მოთავსებულ მინაწერს: „ჭრელნი მუხლნი სამთავე ქალწულთანი გერთა და სტიქარონთა შინა ნახეთ ამას ზემოთ და გამოავლინენი ყოველთა წმიდათანიცა სწერიან“. მინაწერიდან, რომელიც წმიდა ეკატერინეს და სხვა ქალწულმონაშეთა საგალობლებს ეხება, ირკვევა, რომ ჭრელი მუხლების მოსაძიებლად ავტორი მკითხველს გერსა და სტიქარონზე მიუთითებს.

ტერმინი „ჭრელი“ გვხვდება აგრეთვე ხელნაწერის ფურცელზე 356r და ჭრელი მუხლების გერთა, უფალო ლაღადგყავის დასდებელთა და სტიქარონთა შორის მოძიებას ეხება.

ხელნაწერში A-85 (239v) ვხვდებით კიდევ ერთ ცნობას „ჭრელის“ შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ ავტორი „ჭრელ მუხლებს“ განასხვავებს დანარჩენ საგალობელთაგან. ჩანს ისიც, რომ ჭრელი მუხლები სადღესასწაულო მსახურებებს უკავშირდება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „ჭრელის“ იგივეობას XIII-ისა XVII-XVIII-ის ხელნაწერებში.

ამრიგად, დავასკვნით რომ, ჭრელი არ წარმოადგენს მივიწყებული ნევმური სისტემის შემცვლელს. მისი ძირები ბევრად უფრო ადრე უნდა ვეძიოთ, მით უფრო, რომ ტერმინი „ჭრელი“ გვხვდება XIII-ის ხელნაწერში იმ საგალობელთა მუხლებთან მიმართებაში, რომლებიც უფრო გვიანი პერიოდის ჭრელთა ნუსხების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს ქმნიან (გერი, სტიქარონი).

ნევმები და ჭრელები წარმოადგენდნენ გამოყენების სფეროებით განსხვავებულ და სხვადასხვაგვარი ტექნიკის მქონე, თუმცა ფუნქციურად მსგავს მუსიკალური ჰანგის აღმნიშვნელ სისტემებს, რომლებსაც სავსებით თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობა.

და ბოლოს, რომც არ მივიღოთ მხედველობაში XVIII-ში ნევმური დამწერლობის რეალური გამოყენება, ნაშრომში წარმოდგენილი მტკიცებულებებიც საკმარისია იმისათვის, რომ ვალიაოთ ჭრელებისა და ნევმური სისტემის პარალელური არსებობა.

შენიშვნები

¹ ჭრელის სისტემას მიეძღვნა ტრადიციული მრავალხმიანობის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენება (იხ. ანდრიაძე, მანანა; ჩხეიძე, თამარ. ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული. თბილისი, 2003, გვ. 442-457. ქართულ და ინგლისურ ენებზე).

² ტექსტში არსებული ამგვარი აღნიშვნა გულისხმობს კ. კეკელიძის სახელობის სმა ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავის ფონდს და ხელნაწერის რიგით ნომერს.

³ ნუსხებს მიაკვლია და შეისწავლა მ. ანდრიაძემ (იხ. ანდრიაძე, მანანა, 2001).

⁴ ხელნაწერები დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

⁵ „დასდებლნი საჭიქენის“ შესახებ იხ. ჩხეიძე, თამარ, *XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში დაცული ჭრელთა ნუსხები* (რწმენა და ცოდნა, 2001-2002, 4(8): 33-35)

⁶ ნუსხებში რამდენიმე სძლისპირის არსებობის მიზეზი განხილულია ზემოთ.

დამონმებული ლიტერატურა

ანდრიაძე, მანანა. (2001). *გულანებში დაცული ჭრელების შესახებ*. კრებულში: რუსუდან ნურნუშია (პ/მ რედ.). *საერო და სასულიერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები*. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები. გვ. 49-58. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (ინგლისური რეზიუმეტი).

ბატონიშვილი, იოანე. (1991) *ხუმარსწავლა*. ტ. 2. თბილისი: მერანი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი. ხელნაწერები: Q-298; Q-103; Q-104; A-85; H-2282.

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ხელნაწერები: 368; 467.